დანართი №1

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების წესი და დამტკიცების პროცედურა

თავი I. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების წესი

მუხლი 1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი

1. საგნობრივ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის და ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (შემდგომში - მოდულური პროგრამა) უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე დოკუმენტით დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს და მასში მითითებული უნდა იყოს: (18.06.2018, №152/2018)

ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (საგნობრივი):
ა.ა) პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად);
ა.ბ) პროფესიული განათლების საფეხური;
ა.გ) მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად);
ა.დ) პროგრამის მოცულობა კრედიტებით;
ა.ე) სწავლების ენა;
ა.ვ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა;
ა.ზ) პროგრამის მიზანი, რომელიც მიმართულია სტუდენტის კომპეტენციების გამომუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე;
ა.თ) სწავლის შედეგი;
ა.ი) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები;
ა.კ) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა;
ა.ლ) სასწავლო გეგმა, სწავლების ორგანიზების თავისებურებების მითითებით;
ა.მ) პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები/კოორდინატორი;
ა.ნ) დასაქმების სფეროები: პროგრამის შემუშავების დროს რეკომენდებულია აქტიური კონსულტაციები პოტენციურ დამსაქმებლებთან, რომ მათთან ერთად განისაზღვროს ის კონკრეტული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები, რომლებიც მოეთხოვება კურსდამთავრებულს შრომის ბაზრის კონკრეტული სფეროს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად;
ა.ო) დამატებითი ინფორმაცია: მიეთითება საჭიროების შემთხვევაში.

ბ) მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

ბ.ა) სატიტულე ფურცელი;
ბ.ბ) ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება რომლის საფუძველზეც იქმნება პროგრამა;
ბ.გ) ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი;
ბ.დ) პროფესიული სპეციალიზაცია/სპეციალიზაციები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები;
ბ.ე) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი;
ბ.ვ) დაშვების წინაპირობა/წინაპირობები;
ბ.ზ) კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები;
ბ.თ) საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და მოდულები;

➢ ქართულენოვანი სტუდენტებისთვის;
➢ სასწავლო გეგმა რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურენოვანი ტესტირების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის.
ბ.ი) მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების შესაბამისი სწავლის შედეგები;
ბ.კ) ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების შესაძლებლობები;
➢ ოპტიმიზირებული პროგრამის ადაპტირების დროს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უფლებამოსილია შეიმუშაოს ისეთი პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამა, რომლითაც გათვალისწინებული იქნება მხოლოდ ერთი პროფესიული სპეციალიზაცია/მისანიჭებელი კვალიფიკაცია.
➢ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებელია ითვალისწინებდეს არჩევითი სტატუსის მოდულებს ამავე პროფესიული პროგრამის ზოგადი და პროფესიული მოდულების კრედიტთა საერთო მოცულობის არაუმეტეს 20%-სა.
➢ ერთი და იმავე პროფესიულ სპეციალიზაციაზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა მიდგომით, რომელთაგან ერთი განსაზღვრავს სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებულ 50%-ზე მეტი სწავლის შედეგების რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას.
ბ.ლ) სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება;
ბ.მ) პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება;
➢ პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული (სავალდებულო ზოგადი, პროფესიული და არჩევითი) მოდულებით გათვალისწინებული ყველა კრედიტი.
➢ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა კვალიფიკაციის გამოცდის ჩაბარება.
ბ.ნ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფა;
ბ.ო) ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები და მოქმედების ვადა;
ბ.პ) საავტორო უფლებები.

2. საგანმანათლებლო პროგრამებს თან უნდა ერთვოდეს:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (საგნობრივი):

ა.ა) სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);
ა.ბ) ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ (გვარი, სახელი, სტატუსი), ბიოგრაფიული მონაცემები (CV) დანართის სახით;
ა.გ) ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ დანართის სახით;
ა.დ) სასწავლო პრაქტიკისა და საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტი/დოკუმენტები;

ბ) მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

ბ.ა) ზოგადი, სავალდებულო და არჩევითი (არსებობის შემთხვევაში) ადაპტირებული მოდულები;
ბ.ბ) ქართული ენის მოდულები;
ბ.გ) სასწავლო გეგმა (ქართულენოვანი სტუდენტებისთვის);
ბ.დ) სასწავლო გეგმა (რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურენოვანი ტესტირების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის); (18.06.2018, №152/2018)
ბ.ე) სასწავლო გარემო და მინიმალური მატერიალური რესურსის ჩამონათვალი;
ბ.ვ) მემორანდუმი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროფილის საწარმო-დაწესებულებასთან/ორგანიზაციასთან;
ბ.ზ) პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი.

მუხლი 2. პროგრამის სახელწოდება

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (საგნობრივი) შემმუშავებელი პირი უფლებამოსილია, პროგრამას შეურჩიოს სახელწოდება; დასაშვებია, პროგრამის სახელწოდება არ ემთხვეოდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციას.
2. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უნდა შეიქმნას სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის ადაპტირების საფუძველზე.

მუხლი 3. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა (18.06.2018, №152/2018)

მოდულური პროგრამების შემთხვევაში პროგრამაზე დაშვების წინაპირობა შეიძლება იყოს საბაზო და/ან სრული ზოგადი განათლება და მოდულურისათვის პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული მოთხოვნები. საგნობრივი პროგრამების შემთხვევაში პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული წინაპირობები.

მუხლი 4. სწავლის შედეგი

1. სწავლის შედეგი უნდა ასახავდეს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს (ცოდნა და გაცნობიერება), რისი გაკეთება უნდა შეეძლოს (ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, დასკვნის, კომუნიკაციისა და სწავლის უნარები) და რა ღირებულებები უნდა ჰქონდეს პირს პროგრამის დასრულების შემდეგ.
2. პროფესიული განათლების ცალკეული საფეხურის შესაბამისი სწავლის შედეგები აღიწერება ექვსი კრიტერიუმის მიხედვით:
ა) ცოდნა და გაცნობიერება;
ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
გ) დასკვნის უნარი;
დ) კომუნიკაციის უნარი;
ე) სწავლის უნარი;
ვ) ღირებულებები.

3. სწავლის შედეგების აღნიშნული ექვსი კრიტერიუმი უნდა გაიწეროს როგორც პროგრამის შინაარსში, ისე სასწავლო კურსის სილაბუსში. სილაბუსში უნდა მიეთითოს მხოლოდ ის კომპეტენციები რომელთა გამომუშავებასაც მიზნად ისახავს შესაბამისი კომპონენტი.
4. სწავლის შედეგები უნდა ასახავდეს ინფორმაციას დასაქმების სფეროებზე.
5. უნდა მიეთითოს ინფორმაცია სწავლის გაგრძელების საშუალებებზე.
6. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი განსაზღვრულია ჩარჩო დოკუმენტით.

მუხლი 5. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

პროგრამაში უნდა მიეთითოს სწავლების/სწავლის მეთოდები, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

მუხლი 6. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

1. სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევა უნდა გამოიხატებოდეს დადებითი შეფასებით.
2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას, რომელიც აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს წერით კომპონენტს.
3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება უნდა განხორციელდეს 100–ქულიანი სისტემით.
4. დაუშვებელია დასკვნითი გამოცდის შეფასება 40 ქულაზე მეტით.

მუხლი 7. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება (მოდულური პროგრამებისათვის)

1.შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2.განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმავითარებელი შეფასება არ აისახება განმსაზღვრელ შეფასებაში.
4. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.
6. შეფასების შედეგი ფორმდება შეფასების უწყისით.

მუხლი 8. სასწავლო გეგმა, სილაბუსი

1. საგნობრივი პროგრამის შემთხვევაში პროგრამის სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს ყველა კომპონენტს, რომელშიც ხდება კრედიტების მინიჭება.

2. კომპონენტის მითითებისას უნდა აღინიშნოს: სახელწოდება, მოცულობა კრედიტებით, სტუდენტის დატვირთვის სახეები (ასტრონომიულ საათებში).
3. სასწავლო გეგმას მიზანშეწონილია დაერთოს სწავლის შედეგების რუკა, რომელიც მოიცავს პროგრამის ყველა კომპონენტს და მათ ურთიერთმიმართებას პროგრამით გათვალისწინებულ კომპეტენციებთან.
4. სასწავლო კურსის სილაბუსში მიეთითება: სასწავლო კურსის სახელწოდება, ავტორი, ლექტორი/ლექტორები, რომლებიც უძღვებიან სასწავლო კურსის ლექციასა და სამუშაო ჯგუფის მუშაობას, სასწავლო კურსის კოდი, სასწავლო კურსის მიზნები, კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად, დაშვების წინაპირობები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლების/სწავლის მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები, ძირითადი ლიტერატურა, დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა, სასწავლო კურსის გავლასთან დაკავშირებული პირობები.
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმაში მითითებულია მოდულები კრედიტების მიხედვით. (18.06.2018, №152/2018)

მუხლი 9. ადამიანური რესურსი

1. საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალით - ადამიანური რესურსით.
2. პროგრამას უნდა დაერთოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ბიოგრაფიული მონაცემები (CV) და შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები.
3. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც შეიძლება დადგინდეს ამ პირის აკადემიური ხარისხით, მიღებული სპეციალური განათლებით, პუბლიკაციებით ან შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილებით.

მუხლი 10. პროგრამის ხელმძღვანელი, ხელმძღვანელები, კოორდინატორი

1. პროგრამას შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი (როგორც უნივერსიტეტის თანამშრომელი, ისე – მოწვეული). რამდენიმე ხელმძღვანელის შემთხვევაში ერთ–ერთი მათგანი შეიძლება იყოს კოორდინატორი პროგრამის ხელმძღვანელთა საერთო გადაწყვეტილების საფუძველზე. გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით.
2. პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი პასუხისმგებელია სილაბუსების ხარისხსა და ზოგადად ხარისხის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობაზე. ასევემოდულური პროგრამების ხელმძღვანელი პასუხისმგებელია პროგრამის ჩარჩო დოკუმენტთან შესაბამისობაზე.

3. პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი წარმოადგენს ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ძირითად საკონტაქტო პირს, რომელსაც ეცნობება პროგრამის შიდა და გარე შეფასების შედეგები და ევალება მათზე რეაგირება პროგრამის სრულყოფის მიზნით.
4. პროგრამის ხელმძღვანელს/კოორდინატორს ევალება: მიაწოდოს სტუდენტებს ინფორმაცია კურიკულუმის შესახებ, გაუწიოს მათ კონსულტაცია, მოაგვაროს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები და სხვ.

მუხლი 11. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

პროგრამას უნდა დაერთოს ინფორმაცია პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფაზე.

მუხლი 12. პარტნიორი დაწესებულებები და ერთობლივი პროგრამები

1. პროგრამა შეიძლება განხორციელდეს პარტნიორ დაწესებულებებთან თანამშრომლობით.
2. ერთობლივი პროგრამა წარმოადგენს ერთ ან მეტ პარტნიორ დაწესებულებასთან თანამშრომლობის საფუძველზე განხორციელებულ პროგრამას, რომელიც შეიცავს შემდეგ რეკვიზიტებს:
ა) კურიკულუმი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და ყველა პარტნიორი დაწესებულების სია;
ბ) სტუდენტს ენიჭება კრედიტი პარტნიორ დაწესებულებაში განხორციელებული აქტივობის შედეგად (სასწავლო კურსის/მოდულის, პრაქტიკის გავლა და ა.შ.).
3. ერთობლივი პროგრამის განხორციელებისას რეკომენდებულია:
ა) სტუდენტმა ისწავლოს/გაიაროს პრაქტიკა პარტნიორ დაწესებულებაში;
ბ) ხელი შეეწყოს უნივერსიტეტის პერსონალს ასწავლოს/უხელმძღვანელოს პრაქტიკას პარტნიორ დაწესებულებაში;
გ) ხელი შეეწყოს პარტნიორი დაწესებულების პერსონალს ასწავლოს/უხელმძღვანელოს პრაქტიკას უნივერსიტეტში.
4. საერთაშორისო ერთობლივ პროგრამას წარმოადგენს ერთობლივი პროგრამა, რომლის ერთი პარტნიორი მაინც არის უცხოეთის დაწესებულება.
5. თსუ–ის აკადემიური საბჭოს მიერ ერთობლივი პროგრამის დამტკიცების აუცილებელ პირობას წარმოადგენს თანხმობის წერილი ყოველი პარტნიორი დაწესებულებიდან (პარტნიორების სრული სია და თითოეულ მათგანთან დადებული ხელშეკრულება).

მუხლი 13. პროგრამაში ცვლილების შეტანა

პროგრამაში ცვლილების შეტანა ხდება პროგრამის დამტკიცებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების ან სხვა გარემოებების საფუძველზე.

თავი II. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების პროცედურა

მუხლი 14. პროგრამის განხილვა

წინამდებარე რეგულაციების დაცვით შემუშავებული პროგრამა განიხილება ფაკულტეტის

საბჭოს სხდომაზე. გადაწყვეტილება პროგრამის შემდგომ ეტაპზე წარდგენის შესახებ ფორმდება ოქმის სახით. პროგრამის შეჯერებული ვარიანტი განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

მუხლი 15. პროგრამის შესაბამისობა დადგენილ მოთხოვნებთან

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს პროგრამის შესაბამისობას საუნივერსიტეტო და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან, ხოლო ამ პროცესს კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ წერილობით წარმოდგენილი დადებითი დასკვნის შემთხვევაში პროგრამა განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის საბჭოს.

მუხლი 16. პროგრამის დამტკიცება

ფაკულტეტის საბჭო განიხილავს პროგრამას და თანხმობის შემთხვევაში გადაუგზავნის მას უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წინაშე წარსადგენად. პროგრამას ამტკიცებს თსუ–ის აკადემიური საბჭო.

მუხლი 17. მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება (18.06.2018, №152/2018)

მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება და შემდგომი ცვლილებების ინიცირება უნდა მოხდეს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული გარე ინიცირების წესისა და პროცედურების შესაბამისად. პროგრამაში არსებითი ცვლილების შეტანის შემთხვევაში ინფორმაცია უნდა აიასახოს ვებგვერდზე კატალოგში.